საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა

2018

15.03.2019

www.geostat.ge

15.03.2019

ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა

(2018 წელი)

2018 წელს საქართველოს ტერიტორიაზე 15 წლის და უფროსი ასაკის ადგილობრივი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობა 914.1 ათასით განისაზღვრა, რომლებმაც ქვეყნის ტერიტორიაზე განახორციელეს 1.1 მილიონი ვიზიტი. აღნიშნულ პერიოდში ვიზიტების რაოდენობა 4 პროცენტით აღემატება 2017 წლის შესაბამის მონაცემებს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2017-2018 წლების ვიზიტორებისა და მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურ რაოდენობებს:

დიაგრამა №1

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორებისა და მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა



2018 წელს საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ტურისტული ტიპის ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა 481.4 ათასით განისაზღვრა, რაც 6.5 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას ვიზიტის ტიპის მიხედვით:

დიაგრამა №2

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა ვიზიტის ტიპის მიხედვით



2018 წელს ვიზიტორების 37.7 პროცენტი მიეკუთვნებოდა 31-50 ასაკობრივ კატეგორიას. ამასთან, ქალების რაოდენობა მთლიანი ვიზიტორების 54.9 პროცენტს შეადგენდა:

დიაგრამა №3

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



დიაგრამა №4

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ვიზიტორების 26.4 პროცენტი ქ. თბილისის მაცხოვრებელია, 18.6 პროცენტი მოდის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონზე, 11.1 პროცენტი აჭარაზე, ხოლო დანარჩენი რეგიონები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით არის წარმოდგენილი.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით:

დიაგრამა №5

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით, %



2018 წელს ვიზიტების უმრავლესობა (51.8 პროცენტი) განხორციელდა მეგობრების/ნათესავების მონახულების მიზნით:

(ცხრილი №1)

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, ათასი

	ვიზიტების რაოდენობა	წილი, %
მეგობრების/ნათესავების მონახულება	566.7	51.8
შოპინგი	145.1	13.3
მკურნალობა, გაჯანსაღება	115.1	10.5
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	99.1	9.1
მეორე სახლის მონახულება (აგარაკი ან სხვ.)	80.4	7.3
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	47.7	4.4
რელიგია/მომლოცველობა	17.3	1.6
განათლების მიღება	5.2	0.5
სხვა	18.0	1.6
სულ	1 094.8	100.0

ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა ქ. თბილისში (საშუალოდ 288.8 ათასი ვიზიტი თვეში) და იმერეთის რეგიონში (198.9 ათასი ვიზიტი თვეში). ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით:

დიაგრამა №6

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით



ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით:

დიაგრამა №7

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით



2018 წელს განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯების მოცულობა განისაზღვრა 144.8 მილიონი ლარით. აღნიშნული მაჩვენებელი 6.5 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. ამასთან, ვიზიტზე გაწეული საშუალო ხარჯი გაზრდილია 2.5 პროცენტით და 132.3 ლარს უტოლდება:

(ცხრილი № 2)

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ გაწეული საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

	ხარჯი (მლნ. ლარი)	წილი, %	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
განთავსება	7.2	5.0	6.6
გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები	2.1	1.5	2.0
საკვები და სასმელი	33.3	23.0	30.4
საყიდლები	48.6	33.5	44.4
ტრანსპორტი	25.4	17.6	23.2
სხვა	28.2	19.4	25.7
სულ ხარჯი	144.8	100.0	132.3

საკონტაქტო პირები:
გიორგი სანაძე ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge